პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 13 ოქტომბერი 1925 წ. წლიწადი მეხუთე ფასი 3 კ. თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

(930) 232 | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ცვალებადელნო! ემზადეთ წითელ ყაზარმებში მოსასვლელად.

საქართველოს ყველა მაზრებში მომუშავე მიმღები კომისიები რამოდენიმე დღის შემდეგ უკვე დაასრულებენ 1903 წელში დაბადებულ ახალგაზრდათა შეკრებას. წითელი არმიის სამსახურისათვის ვარგისად ცნობილი ახალგაზრდობის ნაწილი გადაირიცხება ძირითად შემადგენლობაში და ნაწილი კი ცვალებადში.

სამაზრო კომისიების მიერ აღრიცხული ვარგისად ცნობილი ახალგაზრდები—ახალწვეულები ჯერ კიდევ არ მოდიან წითელ ყაზარმებში. ისინი რამოდენიმე ათეული დღის ვადით კიდევ დაბრუნდებიან თავთავიანთ სახლებში, რის შემდეგ დანიშნულ დროს ადგ. სამხედრო კომისარიატების საშუალებით გამოცხადდებიან მიწერილ ნაწილებში, სამხედრო ბეგრის მოსახდელად.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ახალწვეულებისათვის გაცილებით ბევრად უკეთესი პირობებია, ვიდრე ეს იყო წარსული გამოწვევის დროს. ვარგისად ცნობილი ახალწვეული კიდევ ბრუნდება თავის სოფელში და ქალაქში მოკლე ვადით, რომ ამ ხნის განმავლობაში კარგად მოემზადოს ყოველ მხრივ და შემდეგ კი გაეშუროს წითელი არმიის ყაზარმებისაკენ.

როგორ უნდა გამოიყენონ ახალწვეულ მუშებმა და გლეხებმა ეს მოკლე ვადიანი შვებულება?

ჩვენ ვიცით, რომ ამ ჟამად სოფლად მიმდინარეობს საშემოდგომო ჭირნახულის მოწევა და ყურძნის რთველი. ამასთანავე ერთად მალე დაიწყება შემოდგომის თესვაც.

გლეხმა—ახალწვეულებმა ამ ხნის განმავლობაში ყოველ მხრივ უნდა მოამარაგონ თავიანთი ოჯახები და ამას შემდეგ დანიშნულ დროს გამოცხადდენ მიწერილ ადგილებზე. ასევე უნდა მოიქცეს ქალაქის მუშები და დაწესებულებათა თანამშრომლები —ახალწვეულები. ამ ხნის განმავლობაში ამ უკანასკნელებმაც უნდა გაუსწორონ ანგარიშები თავიანთ დაწესებულებებს და მოემზადონ ნაწილში წასასვლელად.

როგორი იქნება ამ შემთხვევაში შვებულის მოვალეობა სოფლად და ქალაქად?

შვებულებმა, ახალწვეულთა შორის უნდა აწარმოონ სისტემატიური აგიტაცია—პროპაგანდა წითელი არმიის აღმშენებლობის ყოველგვარ საკითხებზე.

ახალწვეულების ჯარში წამოსვლის დღეებში შვებულ წითელ არმიელებმა ადგ. ორგანოებთან ერთად უნდა მოაწყონ ახალწვეულების გაერთიანებული კრებები, საზეიმო სადამოები, გაცილებები და სხ., რომ ამას შემდეგ ახალწვეულები საერთო სიხალისით და სრული შეგნებით გაეშურონ წითელ არმიის რიგებში.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ წითელ არმიაში მიმავალი ახალწვეულები და შვებული წითელი არმიელები პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

## საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარის—ამხ. კალინინის მისალმება 1903 წ. წვეულებს.

ამხანაგებო, 1903 წლის მომავალ გაწვევისთვის მე მსურდა მეთქვა თქვენთვის ორიოდე სიტყვა წითელი არმიის იმ მნიშვნელობის შესახებ, რომელიც მას აქვს ჩვენი კავშირის საერთო ცხოვრებაში.

მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული ჩვენი წითელი არმია წარმოადგენს ოქტომბრის მონაპოვართა საიმედო დამცველს და საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობის საწინდარს, ურომლისოდაც ნაყოფიერი და მნელი მუშაობა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეში წარმოუდგენელია.

სანამ ჩვენ გარშემორტყმული ვართ მტრებით, ჩვენ გვესაჭიროება ძლიერი არმია, და თქვენ, ახალგაზრდა ძალებმა, რომლებიც მოდიხართ ძველ მსახურთა შესაცვლელად მის სახელოვან წითელ რიგებში, მტკიცედ უნდა შეითვისოთ მისი ასეთი მნიშვნელობა.

ვუძღვნი გულწრფელ სალამს 1903 წლის წვეულებს.

მ. კალინინი.

# ახალი რადიო-ამბები

## ლოკარნოს კონფერენციის გარშემო.

### გერმანიის დელეგაციის პოზიცია.

თანდათან აშკარა ხდება, რომ გერმანიის დელეგაცია ლოკარნოში საგარანტიო (საუზრუნველყოფო) კონფერენციაზე იხრება დათმობისაკენ.

„ფოსიშე ცეიტუნგის“ კორესპონდენტი იტყობინება, რომ დასავლეთის სახელმწიფოები მზად არიან ყოველი ზომა იხმარონ, ოღონდ მიაღებიონ გერმანიას თავიანთი პირობები.

ნაციონალისტური გაზეთი „კრეიცცეიტუნგი“ სწორად განმარტავს ინგლისის გეგმებს საგარანტიო (საუზრუნველყოფო) ხელშეკრულების საქმეში და მასთან გამოაქვს ასეთი დასკვნა: „გერმანია ესაჭიროება ორივე მხარეს (ინგლისსა და საბჭოთა კავშირს), ამიტომ ჩვენ რაც შეიძლება ძვირად უნდა გავყიდოთ ჩვენი ამა თუ იმ მხარეზე მიმხრობა“.

## საუბარი პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან.

ლოკარნოდან მიღებულ ცნობით პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სკშინსკიმ ჟურნალისტებთან საუბარში ჩიჩერინის ვარშავაში მისვლის შესახებ განაცხადა: რომ მან ჩიჩერინთან ერთად განიხილა პოლონეთისა და საბჭოთა კავშირისთვის საინტერესო საკითხები. შემრიგლობითი ხაზით საკითხების გარჩევა გაგრძელდება რამოდენიმე თვის შემდეგ, როცა მე ვინახულებ მოსკოვსო.

გაზ. „ემფორმასიონის“ ცნობით სკშინსკი უკვე აღარ მოითხოვს საფრანგეთის ჯარების გატარებას გერმანიის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის მხრივ პოლონეთზე თავდასხმის შემთხვევაში.

## მთლიანი კაპიტალისტური ფრონტი მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

### „საიდუმლო არქივი“.

ბრესლავში (გერმანიაში) პოლიციამ გაჩხრიკა კომუნისტური გაზეთის რედაქცია და დააპატიმრა მთელი რიგი თანამშრომლებისა.

ბერლინში პოლიციამ გაჩხრიკა სოციალურ მეცნიერებათა არქივის ბინა ვითომდა ეჭვით, რომ იქ ინახებოდა კომუნისტური პარტიის საიდუმლო არქივი. თანამშრომლები დააპატიმრეს.

## ჩეხიის კომუნისტების გასამართლება.

ჩეხიის კომუნისტების ილეკის, ჰაუზერისა და სხვების გასამართლებაზე მოწმეები აჩვენებენ, რომ ბრალდებულ ბრანდეისმა პარტიიდან გამორიცხისთანავე დაექადნა პარტიას შურისძიებით. ბრანდეისის ჩვენებები, რომ ის არსენალში სამსახურის დროს უგზავნიდა კომუნისტ ილეკს ცნობას მომრგვალო ბეჭდიან ბლანკით, გაბათილებულ იქნა პარტიის რგვალი ბეჭდის წარმოდგენით.

## ჩხრეკა „ლიუმანიტეს“ რედაქციაში.

პოლიციამ გაჩხრიკა საფრანგეთის კომპარტიის ორგანოს „ლიუმანიტეს“ რედაქცია და ჩამოართვა რამოდენიმე ათასი მოწოდება მუშებისადმი, რომელთაც მოუწოდებდა შეერთებოდენ საყოველთაო გაფიცვებს.

## კომუნისტების დაპატიმრება ჰოლანდიაში.

ჰოლანდიის პოლიციის რაზმმა დააპატიმრა კუნძულ სუმატრაზე 7 გამოჩენილი კომუნისტი. დაპატიმრებამ დიდი მღელვარება გამოიწვია მცხოვრებთა შორის, რომლებიც ცდილობდენ პატიმართა გათავისუფლებას, იქაურ კომპარტიაში ითვლება 1.300 წევრი. კონტრრევოლიუციონური პარტიას არ თანაუგრძნობს მოსახლეობა. კომუნისტების დაპატიმრებით მთავრობას სურს ნიადაგი გაუმაგროს კონტრრევოლიუციონურ ორგანიზაციას.

## კომუნისტების დევნა კუნძულ იავაზე.

ჰოლანდიის პარლამენტის (საკანონმდებლო უმაღლესი ორგანო) კომუნისტურ დეპუტატმა დევიზერმა მიმართა შეკითხვით კოლონიების მინისტრს იმ თათბირის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა კუნძულ იავას გუბერნატორსა და კაბინეტის წარმომადგენლებს შორის კომუნისტების წინააღმდეგ განსაკუთრებულ ზომების შესახებ. დევიზერმა მოითხოვა ახსნა სემარგანგში კრების აკრძალვისა და მალაის გაზეთ „აპინის“ რედაქტორის დაპატიმრების შესახებ.

## ბულგარეთის სოციალ-დემოკრატების ყრილობა.

### „მხოლოდ ყვითელი ინტერნაციონალის ფარგლებში“.

ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომ პარტიამ უნდა იბრძოლოს ცანკოვის ჩამოგდებისა და ახალი დემოკრატიული მთავრობის შედგენისთვის, სადაც დაცულ უნდა იქნას პარტიის დამოუკიდებელი ხაზი, მაგრამ „სადაც შეიძლება დაშვებულ იქნას შესაძლებელი კონკრეტი გადაწყვეტილება“. ამ უკანასკნელი ფრაზით (გამოთქმით) საკითხი კოალიციურ (შერეულ) მთავრობის შედგენის შესახებ ცანკოვის დამხობის შემდეგ, ღია რჩება.

ქვევით რეზოლიუცია მოითხოვს სამალყო წესების მოხსნას, „უპასუხისმგებლო“ მკვლელობათა შეწყვეტას, მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ზომების მიღებასა და სხვა.

პროფმოძრაობის შესახებ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ პროფმოძრაობის მთლიანობა შეიძლება მხოლოდ ამსტერდამის ინტერნაციონალის ფარგლებში. (ამსტერდამის ინტერნაციონალში შედიან მენშევიკური, ყვითელი პროფკავშირები).

## მასიური დაპატიმრება რუმინეთში.

მთელ რუმინეთში გრძელდება კომუნისტურ ორგანიზაციების მუშაობაში შემჩნეულ პირთა მასიური დაპატიმრება. ოხრანკა (რუმინეთის პოლიცია) ზღაპრულად სწერს რეჟიმის მოქმედებას და სცდილობს დაამტკიცოს, რომ დაპატიმრებულები ამზადებდენ შეთქმულებას „სახელმწიფოს მშვიდობიანობის“ წინააღმდეგ და სურდათ მოეხდინათ ახალი აჯანყება ბესარაბიაშიო.

---

## საბჭოთა კავშირის მეგობარის ფრედ ბრამლის გარდაცვალება

9 ოქტომბერს მოულოდნელად გარდაიცვალა ინგლისის ტრედიუნიონების (პროფკავშირების) კონგრესის მთავარ საბჭოს მდივანი ფრედ ბრამლი. ბრამლი ინგლისის მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეთაგანია.

ბრამლი საბჭოთა კავშირის კარგი მეგობარი იყო. ის სხვათა შორის თაოსნობდა ინგლის-საბჭოთა პროფმოძრაობის კომიტეტის მთლიანობის შექმნაში.

---

## თანაგრძნობის დეპეშები ბრამლის გარდაცვალების გამო.

პროფინტერნისა და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელმა ბიურომ გაუგზავნა ინგლისის პროფკავშირთა მთავარ საბჭოს თანაგრძნობის დეპეშა ინგლისის პროფმოძრაობის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწის—ბრამლის გარდაცვალების გამო.

საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ მიანდო საბჭოთა წარმომადგენლობას ინგლისში შეამკოს ბრამლის კუბო გვირგვინით, შემდეგი წარწერით: „საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობისათვის მებრძოლ-პიონერს საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსაგან“.

# სამხედრო საქმე

### მეცადინეობა უმწყობრო წი-თელარმიელებთან.

წლიური სამოსწავლო მუშაობის ახალი გეგმა ითვალისწინებს მეცადინეობას უმწყობრო წითელარმიელებთან, როგორც თვით ჯარის ნაწილებში, ისე ზურგის დაწესებულებებში. ამას გარდა, ეს გეგმა პირველად ადგენს მტიცე წესს უმწყობროელებით შევსების საქმეში.

განვიხილოთ ერთიცა და მეორეც.

**ა. სამწყობრო ნაწილებში.**

ზაფხულის მეცადინეობის დამთავრების შემდეგ და მორიგ ჰასაკის დათხოვნის წინ (სექტემბრის თვე) სამწყობრო ასეულებიდან სამეურნეო ასეულისთვის გამოიყოფიან წითელარმიელები მებარგულ ეთა თანამდებობის დასაკავებლად. ამ რიგად წითელარმიელთა ეს კატეგორია მიდის უმწყობრო ასეულში, სავსებით დამთავრებულ სამხედრო მომზადებით წლიური სწავლების შემდეგ. 1-ლ ოქტომბრისთვის გეგმის მიხედვით სწარმოებს გამოშვება ლეგიონის სკოლებიდან. სკოლა დამთავრებულთა ერთი ნაწილი მიდის უმცროს სამეურნეო შემადგენლობის თანამდებობათა დასაკავებლად და ოქტომბრის განმავლობაში ემზადება (ეძლევა ინსტრუქციები) სამეურნეო ასეულში თავის ახალ სპეციალობისდა მიხედვით. მაგრამ სამეურნეო ასეულს მაინც ეყოლება წითელარმიელთა კომპლექტი მორიგი ჰასაკის დათხოვნის გამო. შტატის მოთხოვნილებამდი. ასეულის შევსება სწარმოებს ახალგაზრდათა რიცხვიდან, მაგრამ რომელთაც გაუვლიათ მეომრის საერთო მომზადება, ე. ი. ვისაც გაუტარებია ასეულში თვენახევარი (15 ნოემბრიდან 30 დეკემბრამდი). ახალგაზრდები დაიკავებენ ყველა უმწყობრო თანამდებობათ, გარდა ოთხთვალეების მომუშავეთა თანამდებობისა.

ამრიგად სამეურნეო ასეულში იქნება წითელარმიელთა ორი კატეგორია: ახალგაზრდები, რომელთაც გაუვლიათ წინასწარი მომზადება და ძველი მსახურები წლიანი სამწყობრო სტაჟით (გამოცდილებით). როგორც ერთის, ისე მეორეთათვის წესდება ყოველდღიური მეცადინეობა თითო საათით მიღებულ ცოდნათა გასაფართოებლად და გასაღრმავებლად.

უმწყობროელის სწავლების უმთავრესი ამოცანაა—გამოიმუშაოს მისგან (უმწყობროელისაგან) კარგი, თოფის ხმარების მცოდნე მეომარი. უმცროსი ჰასაკი ამთავრებს დაწყებითი სროლის კურსს, ხოლო უფროსი გადის სავარჯიშო სროლას. ამას გარდა უმწყობროელები ეცნობიან ზურგის სამსახურს, ხოლო მემუსიკეები, როგორც მომავალი სანიტრები ომის დროისთვის, გადიან კიდევ სამხედრო-სანიტარულ მომზადებას. დანარჩენ დროს უმწყობროელები ასრულებენ მოვალეობას თავიანთ თანამდებობისდა მიხედვით.

**ბ. საყარაულო ნაწილებში და ზურგის დაწესებულებებში.**

ადგილობრივი ნაწილები (საყარაულო) და ზურგის დაწესებულებათა და საწყობების გუნდები შეივსებიან ახალწვეულებით, როგორც არმიის დანარჩენი ნაწილები. მოსვლის დღიდან ახალწვეულები გადიან საერთო სამხედრო მომზადებას თვეჩხევარში. იმ ნაწილებსა და გუნდებში, რომლებიც შეიარაღებული არიან მსროლელთა იარაღებით (როგორც მაგ. საყარაულო გუნდებში, საწყობთა დამცველ გუნდებში და სხვ.) სწავლება სწარმოებს მთელი წლის განმავლობაში შემოკლებულ პროგრამით.

აქ სწავლების ამოცანაა—გამოიმუშაოს სპეციალისტი მსროლელი და მისცეს ათეულს საბრძოლო მომზადება.

რაც შეეხება ზურგისა და საწყობების უმწყობროებს (რომლებსაც არ აქვთ თოფები, როგორიცაა მაგალითად გუნდები ჰოსპიტლებთან), მათ მომზადებაში შედის: საგარნიზონო, შინა სამსახურისა და დისციპლინარული წესდებათა შესწავლა, პოლიტმომზადება, სამხედრო ჰიგიენა, წარმოდგენა შენიღბვაზე და ქიმიური საქმე (ადამიანებისა და ქონების დაცვა აირებისაგან).

ამრიგად სხვა და სხვა სამწყობრო კატეგორიებისათვის სამოსწავლო გეგმაში დაწესებულია მეცადინეობა მტკიცე პროგრამებზე, რომელიც ითვალისწინებს აუცილებელ სამხედრო მომზადებას.

პ.

---

# მუშათა გაფიცვები.

## პროტესტი მაროკოს ომის წინააღმდეგ.

მოქმედების კომიტეტმა დანიშნა ორშაბათისთვის 24 საათიანი საყოველთაო გაფიცვები პროტესტის ნიშნად საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ მაროკოსა და სირიაში.

---

## პარიზის ტრამვაის მუშათა გაფიცვები

გაიფიცა პარიზის ქალაქის ტრამვაისა და ავტომობილების მოსამსახურეები, რომლებიც მოითხოვენ სამუშაო ხელფასის მომატებისა და ეხლახან გაფიცვების გამო დათხოვნილ მუშათა უკანვე დაბრუნებას.

---

# რევოლიუციის ჯარისკაცი*)

(სურათები)

3.

სალამო აიფაფრა...

მარო უკვე დორხბოს ეგებებოდა სოფელში, ლექსო და შაქრო რომ დაბრუნდენ სარწყავიდან.

ლექსომ ცოლს უამბო ყველაფერი.

დაბინდებისას შაქროს დედაც გამოვიდა მათთან, და საქმე გაიჩარხა...

მთვარე ამოცურდა მთების გადაღმით, რომ წყაროზე, ტოლებში მდგარ, დასანიშნად გამოწყობილ შაქროს დაუძახა მაროს პატარა ძმამ.

ამხანაგებში ჩურჩული შეიქნა...

შაქრო მიდიოდა, მიდიოდა კი არა, მირბოდა... სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა.

ო, რა იყო, როდესაც მშობლებმა ხელი-ხელს მიაცემინეს და დალოცეს!..

შაქრო მზად იყო შებმოდა მთელს ქვეყანას!..

ბედგა მისცა...

მეორე დღეს უკვე კარგი, მხიარული ნიშნობა გადაიხადეს.

პირველი კოცნა შეყვარებულთა...

ეხლა გაიარეს პირველად ერთად, ამკარად.

ყველა ულოცავს...

მათი გული აღსავსეა სიყვარულით, მომავალი ბედნიერებით...

—მარო, სიცოცხლევ! ერთი სამი თვე, და...

ეუბნება შაქრო, რა ლამემ ნაბადი მხარზე გადიგდო, და ლატანზე ჩამოსხდენ.

ბაგე-ბაგეს ჩაეკონა...

—შაქრო, ვინძლო არ დამივიწყო, გენაცვალე...

ჩურჩულებს მარო და ოფლში იწურება...

—მაშინ შაქროს შუბლში ტყვია!

ეუბნება შაქრო თამამად...

—საყვარელო...

— წავალ, ვიმსახურებ წითელ ჯარში, პირნათლად შევასრულებ ჩემს მოვალეობას საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, რომ უფრო ღირსეული დაგიბრუნდე...

მამლებმა იყივლეს, როცა განშორდენ...

მეორე დღეს, განთიადისას, ოდეს მზემ გადმოხედა სოფელს. მარჯნის სიცილით და თავისი აბრეშუმის თმები გადმოიშალა, ცის ლურჯ სარკეში სწორებით, რათა ჯილათ დასდგმოდა ავარაყებულ მთებს, ახალგაზრდობა დაიძრა, სიმღერით, ცეკვა თამაშით...

მხურვალე გამომშვიდება...

— ვინძლო, შვილო, არ შემარცხვინო და კაი კაცი დადგე წითელ ლაშქარში.

აბარებენ მშობლები, ლოცვით...

ვიდრე შაქრო ორღობეს არ მიეფარა, მარო არ გამობრუნებულა...

უკანასკნელად აფრიალდა მის ხელში თეთრი ცხვირსახოცი, და ორი ცრემლი გადმოეკიდა თვალის ქუთუთოებზე, მარგალიტის მძივებივით...

გული დასწყდა განშორებით...

მატარებელი რომ დაიძრა ჯარში მიმავალ ახალგაზრდობის ყიჟინით, ვიდრე მთებს არ მოეფარა, შაქროს თვალი არ მოუშორებია, შორს, თავის სოფლისთვის, რომელიც ორბის ბუდესავით აჰკროდა მთის კალთებს და ამაყად იყურებოდა თითქოს ღმერთების ბანაკს იწვევს შერკინებაშიო...

თითქოს უდაბნოში ციკლონით დასიცხული კუზიან აქლემთ ქარავნებიათ, ცის ტატნობზე აიზლაზნენ ლეგა ღრუბელთა ქულები...

ქარმა ფრთები აიბერტყა...

4.

ორთქლმავალმა შეჰკივლა სემაფორთან...

ჯარი მუსიკით შეხვდა, ახალწვეულთ, სადგურზე...

— ვაშააა!!!

აყრუებს მიდამოს...

აქ არიან როგორც ძველი წითელ-არმიელები, ისე უფროსთა და პოლიტიკური შემადგენლობა...

გაიმართა მიტინგი...

მისალმება...

გაშუქდა ტერიტორიალურ ახალ დივიზიების მნიშვნელობა და საბჭოთა რესპუბლიკების ყოველდღიური გამარჯვებები როგორც საგარეო, ისე საშინაო ფრონტებზე, რომლის დამცველიც უნდა იყოს ეს ახალგაზრდობა.

წითელი ფიცი ადასტურებს დავალებას...

ისინი იძლევიან პატიოსან სიტყვას, რომ ღირსეულად შეასრულებენ რევოლიუციის ჯარისკაცის მოვალეობას...

მწყობრი რიგებით სვლა ყალყზე ამდგარ ქუჩებზე...

შედარება შფოთიან ქალაქის, წყნარ სოფელთან...

ზეიმით შესვლა წითელ ყაზარმაში...

გასვლა საზაფხულო ბანაკად, სადაც ლაღ ბუნების გადაჰიმულ მწვანე ქათიბზე თეთრი დილებივით ასხმიან კარვები...

კლუბი...

ლენინის კუთხე; კომუჯრედი...

პოლიტხელის საუბარი...

წერა-კითხვის არმცოდნეთათვის სკოლა...

სხვა და სხვა წრეები...

კედლის გაზეთი...

ლეგიონის ლამაზოჯახიანობა...

უფროსთა ძმური მოპყრობა...

სამხედრო ხელოვნება...

თოფის პირველი მოვლა...

მიზანში სროლა...

სპორტი; შეჯიბრი...

სამხედრო ტანსაცმელი...

პოლიტიკური და კულტურული ცოდნის შეძენა...

ცოდნის აუზი, რომელიც შადრევანით სინათლეს სცემს...

ჩირაღდნის მაღლა აწევა სიბნელის თვალთა ალანძვად...

— ჩვენი საერთო ოჯახი... შრომის მეუფების დაცვა... სანეტარო ცხოვრება...

ფიქრობს შაქრო.

— თქვენა ხართ რევოლიუციის ჯარისკაცები, წითელ-არმიელები...

ეუბნება პოლიტხელი, პოლიტსაათზე.

სულგანაბული უსმენენ; სწავლობენ; ითვისებენ...

ვისაც წამოსვლა ეზარებოდა ჯარში, ისინი ეხლა სულაც აღარ ფიქრობენ სახლში დაბრუნებაზე...

იწყება პოლიტ-თამაში...

ყველა ერთი-მეორეს ეჯიბრება ყოჩაღობაში...

არა სურთ ჩამორჩენ უფრო მოწინავეებს...

უკვე ერთი თვე აიკეცა...

საგუშაგოებზეც ინიშნებიან; საგარნიზონო და შინა სამსახურის წესდებაც იციან...]

ბიბლიოთეკა უხვად უმასპინძლდება მათ წიგნებით და ჟურნალ—გაზეთებით.

ბევრმა მათგანმა თანამშრომლობაც კი დაიწყეს, როგორც კედლის გაზეთში, ისე ბეჭდვითი სამხედრო ვაზეთში... ბევრმა კლუბის სცენაზედაც დაიწყო თამაში...

სამხედრო სწავლის შემდეგ ეფინებიან წრეებს...

საღამოობით ბანაკში გაისმის სიმღერა...

ცეკვა-თამაში ამხიარულებს მიდამოს...

შაქრო ყველაფერში ერთი პირველთაგანია...

ემზადება ახალი შეტევა ყველა მტერზე, თუ რომელიმე მათგანი გაბედავს წითელ საზღვრების გადმოლახვას...

ახალგაზრდა რკინის მუშტი რისხვით აიღირა..

(დასასრული შემდეგ №-ში.)

ს. ერ—ლი.

---

*) იხილე „წითელი არმიელი“ № 231.

# ტერ-ნაწილების ცხოვრება და მუშაობა

## ძველი წითელ არმიელების წერილები ახალწვეულებისადმი.

ამხ. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა ხელისუფლებას აღარ სურს ომი, მას სურს მშვიდობიანი აღმშენებლობა, მაგრამ, როდესაც ჩვენი საბჭოთა ტერიტორია გარშემორტყმული არის მტრულად განწყობილ და საომრათ მომზადებულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებით, ამისათვის მას უხდება ემზადოს მტერზე შესაფერ პასუხის გასაცემათ.

ამ პასუხის გამცემი კი არის წითელი არმია, რომელიც დარაჯათ უდგას ოქტომბრის რევოლიუციით მოპოვებულ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას.

ჩვენ ვიცით რას წარმოადგენს დღეს წითელი არმია და მისი აღმზრდელი წითელი ყაზარმა. თვითეულმა მუშამ და გლეხმა იცის, რომ წითელი არმია კლასიურია, რომელიც დარაჯად უდგას მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას და იცავს მათივე ინტერესებს.

წითელი ყაზარმა კი წარმოადგენს დღევანდელ დროში ნამდვილ ცოდნის ტაძარს, სადაც სოფლის ახალგაზრდობა სწავლობს და ითვისებს, როგორც სამხედრო-პოლიტიკურს, ისე კულტურულ საგანმანათლებლო საქმესაც. წითელ ყაზარმაში ნამყოფი წითელ ლაშქრელი საკმარისად გარკვეული უბრუნდება სოფელს და იღებს მონაწილეობას სოფლის აღმშენებლობის საქმეში.

თვითეული 1903 წ. დაბადებული ახალგაზრდა, რომელმაც უნდა მიიღოს წითელარმიელის სახელწოდება, შეგნებულად უნდა შეხვდეს წითელ არმიის რიგების შევსებას, რომლებიც უვადო შვებულებაში წასული წითელ ლაშქრელების ადგილს დაიჭერენ. ჩვენ ვიცით, რომ ეხლა უვადო შვებულებაში მიმავალი და წასული წითელარმიელებმა პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა და დაუბრუნდენ თავიანთ სოფლებს საკმარისად მომზადებულნი.

გისურვებთ თქვენ, ჩვენი ჯარის რიგების ახლად შემავსებელ ახალგაზრდობას, ენერგიულად შეგესრულებიოთ თქვენი მოვალეობა, რომელსაც გავალებთ მუშათა კლასი.

გამოეშურეთ დანიშნულ დროზე წითელ ყაზარმებისკენ, დაეწაფეთ როგორც სამხედრო საქმეს, ისე სხვა და სხვა საჭირო ცოდნას და ჩვენ ძველი არმიელები აქ დაგხვდებით, შევეცდებით მოგაწოდოთ ცნობები ყველაფერზე და ამნაირად გაგიადვილებთ შრომას.

წითელ არმ. როგავა.

## ტერ-შეკრების დამთავრება ჩვენთან.

მე-4 ლეგიონი.

გათენდა 5 ოქტომბერი... ლეგიონში დიდი მზადება დაიწყო. განსაკუთრებით ემზადებოდა № ასეული, რომელიც მიემგზავრებოდა თვის წერტზე. გაისმა ბრძანება და მთელი ლეგიონი შეგროვდა ბანაკის პლაცზე. ყველა ნაწილებმა დაიკავეს თავ-თავიანთი ადგილები. გაიხსნა გამოსამშვიდობებელი მიტინგი.

მიტინგის მთელი შინაარსი გამოიხატა, მოვალეობის მტკიცედ ასრულების ფიცში, და ტერშეკრების ღირსეულად ჩატარებისათვის მადლობის გადახდაში, მეორე მხრივ.

სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას ლეგიონის მიერ გაეგზავნა დეპეშა, სადაც აღნიშნული იყო, თუ როგორი გრძნობით აცილებს ლეგიონი ოსურ ასეულს. ამით დათავდა მიტინგი, რის შემდეგ მთელმა ლეგიონმა რამდენიმე ვერსზე გააცილა მუსიკით ოსი ამხანაგები.

ამავე დღეს საღამოს, მეთაურთა სკოლიდან მოვლენილ კურსანტებმა თავი შეიყარეს ლეგიონის შემადგენლობასთან ერთად კლუბში.

კურსანტების გასაცილებელი საზეიმო საღამო გახსნა სამხკომ ამხ. ნანაძემ, რომელმაც მოკლედ ჯამი გაუკეთა ლეგიონის მთელ მუშაობას შეკრების პერიოდში და აღნიშნა კურსანტების თავდადებული მუშაობა და მათდამი დავალებული საქმისადმი სიყვარული. სიტყვებით გამოვიდენ აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. მადლობის ნიშნად ლეგიონმა კურსანტებს გადასცა ფამფარის დროშაკი.

სამადლობელი დეპეშები გაეგზავნა აგრეთვე ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის უფროსს და დივიზიის მეთაურსა და პოლიტგანყოფილებას.

6 ოქტომბერს ლეგიონმა გააცილა მეორე და მესამე ათასეულები. სადგურზე მოეწყო მიტინგი, სადაც ამხ. ნანაძემ მადლობა გადაუხადა მთელ შემადგენლობას და აღნიშნა ცვალებადელების მოვალეობა სოფლად.

გადაღებული იქმნა ტერკორებისა და ტერ-რწმუნებულების სურათები.

ქ. ხაშურში კი მეორე და მესამე ათასეულები გამოეთხოვენ ერთმანეთს. აქაც გადაღებული იქნა გამომშვიდობების სხვა და სხვა ეპიზოდები. ადგილობრივი ხელისუფლება დიდი სიხარულით და მზრუნველობით დაგვიხვდა. ათასეულების მხედრული და ვაშას ძახილი აღვიძებდა მიყრუებულ ქალაქს.

ამ დღეებში ლეგიონის უფროსების სახელზე მოვიდა დეპეშა სამხრეთ ოსეთის ასეულის საერთო კრებისაგან. ამხანაგები ერთხელ კიდევ ესალმებიან ლეგიონის შემადგენლობას თავისი ქვეყნიდან და ფიცს იძლევიან, რომ საჭირო მომენტში, პირველ გამოძახილისთანავე ხელში აიღებენ შაშხანას და ჩადგებიან ლეგიონის რიგებში.

ამნაირად ლეგიონის ყველა ნაწილები დარიგდენ თავიანთ წერტებზე. წითელარმიელებს მიეცათ ტანისამოსი და ლიტერატურა.

შეკრების დროს სპეციალურად მომზადებული იქნენ ლეგიონში ასამდე წითელარმიელები სამხედრო კუთხეებისა და კოხსამკითხველოს გამგეებათ.

ლეგიონის ტერ-შეკრება ბრწყინვალედ ჩატარდა. ყველა დარგში დიდი მიღწევებია.

სამხკორი ხან—მანი.

## წითელ არმიელის მადლობა.

5-ე ლეგიონი.

1924 წ. გაზაფხულზე გამიწვიეს ჯარში. უსწავლელი, წერა-კითხვის უცოდინარი, ჩამორჩენილი კუთხიდან წითელმა ყაზარმამ გამომაფხიზლა. იქ წარმოებულმა მუშაობამ თვალები ამიხილა და მეც ჩამითრია. წითელმა ყაზარმამ თითქმის ყველაფერი შემასწავლა. უნცროს მეთაურათაც კი გამომზარდა, როდესაც ისიც წარმოუდგენელი იყო ჩემთვის თუ შევძლებდი წერა კითხვის შესწავლასაც კი. ლეგიონში წარმოებულ ყოველ გვარ მუშაობაში ჩაბმის საშვალებას მაძლევდენ და სამსახურის დასრულების შემდეგ მუშფაკშიც კი გადამგზავნეს.

არ შემიძლია დავივიწყო 5-ე ლეგიონი და მისი შემადგენლობა—მისი ყაზარმები, სადაც მე პირველად გავახილე თვალი და ვიგრძენი ცოდნის სიტკბოება. ვძლევნი მის უფროსებს, არმიელებს და ყველას მხურვალე სალამს.

იმედი მაქვს, მისი რიგების შემავსებელი ჩვენი ცვლა, დააფასებს წითელ ყაზარმას და ხარბად დაეწაფება სამხედრო-პოლიტიკურ და კულტურულ საქმეს.

მხოლოდ შეგნებული და წითელ ყაზარმაში გამოვლილი მუშისა და გლეხის შვილი შეიძლება იყოს მისივე ინტერესებისა და ხელისუფლების საუკეთესო დამცველი. ეს კარგად უნდა შეიგნონ ახალწვეულებმა.

ვაშა 5-ე ლეგიონს, მის მეთაურებს და მთელ შემადგენლობას, გაუმარჯოს მის მომავალ საქმიანობას.

თუ დადგება წუთები, როდესაც საჭირო იქნება ჩვენი მის რიგებში მისვლა, ვფიცავ მყისვე შევიქნე მისი ერთგული მხედარი.

5-ე ლეგ. ყოფილი წ. არმ.
ანდრო თითოშვილი.

# ახალ წვეულის მოსვლის წინ.

## როგორ ვმუშაობთ ახალწვეულებთან.

ქუთაისის პუნქტები.

დღიდან განცხადებისა 1903 წ. დაბადებულთა გამოწვევის შესახებ ჩვენ შეუდექით სამზადისს ახალწვეულთა შორის საგიტ-პროპო მუშაობის შესახებ.

გაწვევის წინა დღეებში გარნიზონის კლუბში შესდგა ყველა ნაწილების კლუბის უფროსთა თათბირი სამოქალაქო კლუბის უფროსებთან ერთად.

გამოვიმუშავეთ მუშაობის გეგმა და შეუდექით მის ცხოვრებაში გატარებას.

ამ ჟამად ქუთაისში მუშაობს ორი მიმღები კომისია სხვა და სხვა ადგილებზე და ორივეგან არის დაარსებული აგიტ—პუნქტები.

აქ ბლომად პოიპოვება ახალწვეულთათვის მისაწვდომი სხვა და სხვა ხასიათის ლიტერატურა. აქვეა დაარსებული კითხვა პასუხის კუთხე, საიდანაც ახალწვეულები ღებულობენ პასუხს იმავე დღეს, როგორც წერილობითი შეკითხვებზე, ისე სიტყვიერ შეკითხვებზედაც.

ამის გარდა პუნქტებზე დანიშნული არიან ამხანაგები, როგორც სამოქალაქო ორგანიზაციებიდან, ისე სამხედრო ნაწილებიდან, რომლებიც უკითხავენ გაზეთებს ახალწვეულებს, ატარებენ მათთან საუბრებს და სხვა. სოფლიდან ჩამოსული ამხანაგები გულმოდგინეთ და განცვიფრებით უსმენენ მათ. ხშირად უკრავს სამხედრო ორკესტრი და იმართება ცეკვათამაში. საერთო მხიარულება ყველგანაა, არც ერთს მათგანს არ ემჩნევა დაღვრემილობა. მათ უკვე იციან რისთვის არიან გამოწვეული და ვინ უნდა დაიცვან. ამ დღეებში ჩავატარებთ კინო სურათებს და წარმოდგენებს ახალწვეულთათვის.

ნ. მელიქიძე.

## ჩვენი საქმიანობა.

სამხედრო პოლიტსკოლა.

ახალ ბინაზე გადმოსვლისთანავე შეუდექით ყველა ნაკლულოვანებების გამოსწორებას.

სკოლას დიდი ხნის ისტორია არ აქვს და ამიტომ პირველ ხანებში ცუდ პირობებში გვიხდებოდა ცხოვრება. დღეს პირობები თანდათანობით გვიუმჯობესდება. გავამშვენიერეთ შენობები. არ გვქონდა საყოფი ჯამები, კოვზები და სხვა, რის გამოც მეცადინეობა გვიფერხდებოდა.

ამ ჟამად ყველაფერი მოგვარებულია სასადილოც მოვაწყვეთ. მნეც ყურადღებით ეკიდება საქმეს, საერთოდ თითქმის ყველაფრით უზრუნველყოფილი ვართ. მეცადინეობა წესიერად მიმდინარეობს. კურსანტები ენერგიულად ეკიდებიან სწავლას, მეთაურები დიდ ენერგიულობას იჩენენ. ჩვენც იმედი გვაქვს შესაფერ ხელმძღვანელობას გავუწევთ სკოლის დამთავრების შემდეგ ჩვენს წითელ-არმიელებს.

სამხკორი საწირელი.

## შეუდექით მეცადინეობას.

სამხედრო მეთაურთა გაერთ. სკოლა.

კურსანტები დაუბრუნდენ სკოლას ნაწილებში მუშაობის შემდეგ. 8 ოქტომბრიდან უკვე დაიწყო ჩვეულებრივ მეცადინეობა. მთელი წლის პროგრამა გარკვეულად არის ნაჩვენები სამოსწავლო ნაწილის მიერ, რომელიც გასულ წელთან შედარებით ძლიერ გადიდებულია, ყველა კურსებზე მომატებულია საგნებიც.

გასულ წელში შემოღებული იყო სწავლის ლაბორატორიული მეთოდი, მაგრამ ეს სინამდვილეში არ ტარდებოდა სხვა და სხვა მიზეზების გამო: წელს პედაგოგიურ საბჭოს დადგენილებით ამავე მეთოდით სწარმოებს სწავლა.

უნდა აღინიშნოს რომ კურსანტები დაბალი ცოდნითარიანდა ამასთანავე მათ მოუხდებათ მთელი მოცემულობის 90 პროც. თავისით დამუშავება. ეს კი დიდ უხერხულობას იწვევს რადგან არ მოგვეპოება სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. უამისოდ კი კურსანტებს ძლიერ უჭირთ მეცადინეობა.

საჭიროა ჩვენმა უფროსებმა იზრუნონ და შეიძინონ სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. მხოლოდ მაშინ შეიძლება აღნიშნული მეთოდის ნაყოფიერად გატარება.

სწავლას დიდი ენერგიით ეკიდება სკოლის მთელი შემადგენლობა.

სხვა მხრივ ყველაფრით უზრუნველყოფილია ყველა კლასები.

სამხკორი შაქრო.

## ჩვენი საკლუბო მუშაობიდან.

2-ე არტლეგიონი.

ლეგიონში საკლუბო მუშაობა კარგ ნიადაგზე იდგა თავიდანვე. ხელმძღვანელები დაუღალავად და ენერგიულად უძღვებოდენ თავიანთ საქმეს.

სისტემატიურად გამოდიოდა ორკვირეული კედლის გაზეთი „არტილერისტის ხმა“.

ჩვენმა სამხკორთა წრემ 6-ე ლეგ. შეჯიბრებაში სავსებით დაამტკიცა თავისი საფუძვლიანი მომზადება. ლეგიონში იყო ლიტერატურული წრეც, რომელიც ხშირად მართავდა ლიტერატურულ გასამართლებებს და აწარმოებდა სხვა სალიტერატურო მუშაობასაც, კლუბი კარგად იყო მოწყობილი და კარგ ხელმძღვანელობას უწევდა ყველა წრეებს. დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ყველა ბატარეიებში ლენინის კუთხეების მუშაობასაც.

იმედია კლუბი არ უღალატებს თავის ჩვეულებას და კიდევ უფრო გაათკეცებული ენერგიით შეუდგება მომავალ ახალწვეულებთან საქმიანობას და ასევე ორგანიზაციულად დარაზმავს მათ.

გლ. ნივრუზაშვილი.

## ახალი უმცროსი მეთაურები პირველ ლეგიონს.

ლეგიონის სკოლაში დამთავრდა უნცროს მეთაურთა სკოლის კურსანტების გამოცდები. ამხ. 95 პროცენტმა ჩინებულად ჩააბარეს გამოცდები. 11 ოქტომბერს ამის აღსანიშნავად ლეგიონის კლუბში გაიმართა საზეიმო კრება, რომელსაც დაესწრენ ტყავტრესტის მუშები და 3-მე რაიკომის პასუხის მგებელი ამხანაგები. კლუბი საზეიმოდ იყო მორთული.

პირველად ლეგიონის თავმა კრებას გააცნო იმ ამხანაგების სია, რომლებმაც ჩააბარეს გამოცდები, შემდეგ კი მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ, როგორც მეთაურები ისე მუშები და რაიკომის წარმომადგენლები, რომლებიც ერთხმად მოგვიწოდებდენ პირნათლად შეგვესრულებია ყველა დავალებანი და ენერგიულად მოგვეკიდა ხელი წითელი არმიელების აღზრდის საქმისთვის.

საზეიმო კრების შემდეგ გადავიღეთ სურათები.

გამართული იქნა აგრეთვე საზეიმო სადილი, რომელზედაც მიპატიჟებული იქნენ სტუმარი მუშები.

გაუმარჯოს ჩვენს აღმზრდელ მეთაურებს და ჩვენი მხრივ ვფიცავთ, რომ მთელი ენერგიითა და გულის ყურით მოვკიდებთ ხელს ახლად მოსულ არმიელების აღზრდას.

ივ. ბარელაძე.

## გაანათეთ ეს კუთხეც.

ქალაქის კომუნალურ განყოფილების საყურადღებოთ.

ვაკე—ქალაქის ცენტრიდან 3-3 ნახ. ვერსითაა დაშორებული. აქ მრავალი მუშა-მოსამსახურე ცხოვრობს. აქვეა ქართული სამხედრო სკოლა.

ტრამვაის შტოდან სკოლამდე ვერს ნახევარი იქნება. ამ მანძილის გავლა დღე-ღამეში მრავალ ჩვენგანს რამოდენიმეჯერ უხდება.

ღამ-ღამობით კრებაზე მივდივართ თუ სკოლის გარეშე მეცადინეობაზე—ხშირად საშინელ სიბნელეში გვიხდება სიარული.

საჭიროა სამხედრო სკოლისთვისა და ყველა აქ მცხოვრებლების ელექტრო შუქის ღირსად მაინც გახდნენ სანამდე ტრამვაი იხილავდეს ვაკეს.

გაიქაურებული.

# პარტიული ცხოვრება

**მეთაურთა სკოლა.**

კურსანტების მოსვლასთან ერთად გამოცოცხლდა პარტიული მუშაობაც. 8 ოქტომბერს მოხდა სკოლის ყველა უჯრედების გადახალისება. 9 ოქტომბერს კი მოსმენილი იქნა დახურულ პარტიულ კრებაზე ბიურო კოლექტივის მდივანის მოხსენება—ბიუროს მუშაობის შესახებ.

გამოირკვა, რომ ბიუროს მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზები შეხვედრია თავისი საქმიანობის დროს, მაგრამ შედარებით წინანდელ შემადგენლობასთან, ბიუროს მაინც დამაკმაყოფილებლად უმუშავნია.

მას აქვს ისეთი მიღწევები, როგორც არის პარტიული მხანაგების რიგებიდან ყოველგვარი დაჯგუფებისა და ინტრიგანობის განდევნა. გაცილებით მეტი ყურადღება მიუქცევია ბიუროს პარტიული ამხანაგების აღზრდისა და განვითარებისათვის ვინემ მის წინანდელ შემადგენლობას.

მოხსენებაში აღნიშნული იქნა აგრეთვე სკოლის ბანაკობის დროს გამართული ქეიფობის ამბავი, რომელმაც დიდი უკმაყოფილება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო ბიუროს მუშაობა და აირჩია ბიუროს ახალი შემადგენლობა.

**პარტიული.**

# წითელ არმიელების წერილებიდან.

## მოგვეცით სასადილო.

**1-ლი საარტილერიო ლეგიონი.**

ლეგიონში არა გვაქვს სასადილო დარბაზი. წითელ-არმიელებს ყოველთვის გარედ გვიხდება სადილობა, რაც ძლიერ უხერხულია. სადაც არის ახალწვეულებიც გვესტუმრებიან და თუ ახლავე არ იქნა გამოძებნილი სათანადო შენობა შემდეგ ძლიერ გასჭირდება საქმე. მოგვეცით ერთი სასადილო ოთახი.

**სამხედრი რიონის პირელი.**

## კიდევ ბატონო.

**5-ლეგიონი.**

ჩვენს გაზეთში არა ერთხელ აღნიშნულა ჩემს მიერ სიტყვა „ბატონოს" ხმარების შესახებ, მაგრამ საუბედუროდ ჩვენთან დღემდე ვერ გადაჩვეულან. ჩვენს ლეგიონში ხშირად გაიგონებთ, რომ რომელიმე მეთაური ხშირად მიმართავს თავის უფროსს „ბატონოთი". ეს ცუდი მაგალითის მიცემაა ცვალებადელისათვის, რომელიც თქმა არ უნდა თავის უფროსს წაბაძავს. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს უფროსებში ამ დრო მოჭმულ და მონობის გამომხატველ სიტყვას.

**სამხედრი პ. გრიგალი.**

## მოგვეცით კარგი ორთვალა და ბარგულები.

**ცხენ. ლეგიონი.**

ცხენ. ლეგიონის საკვების მზიდავი ორთვალა სრულიად გამოვიდა ხმარებიდან, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს და არც ფიქრობენ მისი გამოცვლის შესახებ. სანოვაგის ზიდვა კი პირდაპირ მოუხერხებელია მისი საშვალებით.

ასეთივე მდგომარეობაში არიან ლეგიონის სხვა ბარგულებიც (ფურგუნები). საჭიროა მნემ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

**სამხედრი სიმართლე.**

## ჩვენ რაღა დავაშავეთ?

**1-ლი ლეგ. ბატარეია.**

სანამ ძველი წითელ-არმიელები წავიდოდენ გრძელ ვადიან შვებულებაში ბატარეიაში მანამდე ქე სწარმოებდა პოლიტიკური მეცადინეობა, მაგრამ მას შემდეგ შესწყდა. აღარავინ გვამეცადინებს. ლეგიონის სხვა ასეულებში კი ჩვეულებრივად სწარმოებს მუშაობა. ნეტა რა დავაშავეთ ჩვენ? რად არ გვამეცადინებენ პოლიტსაათებში?

დროა მოგვაქციონ ყურადღება, რომ უფრო მომზადებული დავხვდეთ ახალ წვეულებს.

**სამხედრი ცეცხლი.**

# უცხოეთის არმიებში.

## ლატვიის არმია.

**ახალი კანონი სამხედრო სამსახურის შესახებ.**

ლატვიის სამხედრო სამინისტრომ, მინისტრთა საბჭოში შეიტანა ახალი კანონ-პროექტი საყოველთაო სამხედრო სწავლების შესახებ. ახალ კანონ-პროექტს სხვათა შორის გათვალისწინებული აქვს ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ყოველგვარი მონაწილეობის მიღების აკრძალვა.

**დუელი ლატვიის არმიაში.**

ლატვიის სამხედრო სამინისტრომ დაგზავნა სამხედრო ნაწილებში ანკეტები დუელის საკითხის შესახებ. მიღებული პასუხები მრავალგვარი აღმოჩნდა მაგრამ ოფიცრების უმრავლესობა მაინც იცავს დუელს. ასეთმა აზრმა გაიმარჯვა თვით სამინისტროშიც. ამნაირად დუელები ლატვიის არმიაშიც ნება დართული იქნება.

**ავსტრიის ანიარაღებენ.**

ელჩთა საბჭომ ავსტრიის მთავრობას წაუყენა მოთხოვნილება 7.000 მანქანის ლიკვიდაციის შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სამხედრო მასალების დასამზადებლად.

**ჰოლანდიის საზღვაო ძალები.**

ჰოლანდიის შეიარაღებული ძალები, რომლებიც ემსახურებიან ჰოლანდიის ინდოეთის თავდაცვის საქმეს, 1926 წელში შემდგარი იქნება 6 კრეისერის, 12 გამანადგურებლებისა, 16 წყალქვეშა ნავებისა, და 108 მზვერავ და გამანადგურებელ ჰაეროპლ ნებისაგან.

ჰოლანდიის ევროპას კი შესდგება 4 დიდი კრეისერის, 12 წყალქვეშა ნავების, 2 კანონერკის, 2 ტრალერის, რამოდენიმე დამხმარე გემებისა და 60 სამხედრო ჰაეროპლანისაგან.

დასახელებული გემების ნაწილი ჯერაც არ არის აგებული. ამ ჟამად აშენდებენ 1.620 წყალტევის ტონის გამანადგურებლებს. მათი სიჩქარე ედრება 36 საზღვაო მილს საათში. 18 წყალქვეშა ნავებისაგან, რომლებიც განზრახულია აიგოს მარტო ინდოეთის ფლოტისათვის—3 უკვე მზად არის.

**საჰაერო—სანიტარული სამსახური საფრანგეთში.**

საფრანგეთის სამხედრო სამინისტრომ ჰაეროპლანით მიავლინა ჟენევის საერთაშორისო წითელი ჯვრის საზოგადოებაში სამხედრო სანიტარული დელეგაცია, რომელიც იქონიებს მოლაპარაკებას, ომის დროს ჰაეროპლანების სანიტარული სამსახურში გამოყენებისათვის. დელეგაციამ საზოგადოებას გადასცა თავისი მასალები ამ საქმის შესახებ და წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნეს საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც შეიმუშავებს საჰაერო სანიტსამსახურის დებულებას.

# ახალი ამბები.

—კიბე-ავტომობილი. ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის საჭიროებისათვის გერმანიიდან გამოწერილია კიბე-ავტომობილი.

—წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ მომავალი წლის განმავლობაში გახსნილი იქნება ტფილისის მაზრაში ახალი სალიკვიდაციო პუნქტები, სადაც წერა-კითხვას შეისწავლის 12.000 გლეხი.

—ქაღალდის ქარხანა. უმაღლეს სამეურნეო საბჭოს განზრახული აქვს ფოთში აავოს ქაღალდის საკეთებელი ქარხანა, სადაც იმუშავებს 700 მუშა.

— ინვალიდების არტელებში ბოროტმოქმედებათა ასაკვეთად სოც.-უზრ. კომისარიატმა გააძლიერა კონტროლი და მეთვალყურეობა.

—ტრაქტორების მიღება. ბათომში, ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო 40 ტრაქტორი.

—კბილით ავათმყოფნი. მიმდინარე წლის 1-ლ ნახევარში კბილის საექიმო ამბულატორიებით უსარგებლნია 32.091 მოქალაქეს.

— სამსახურში შესასვლელათ. ტფ. დამზღ. სალარომ დაადგინა სამსახურში შესასვლელ მუშა-მოსამსახურეთათვის შემოიღოს სავალდებულო საექიმო შემოწმება.

—საზამთრო კურორტებზე ტფ. დამზღვევი სალარო აგზავნის 120 დაზღვეულს.

—საზღვარგარეთ უნებართვოთ შეიძლება გაიგზავნოს ჩერვონეცებით 200 მანეთამდე ყოველთვეში. ზედმეტი თანხისათვის საჭირო იქნება ფინსახკომის ორგანოების ნებართვა.

# შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის № 231-ში, მოწინავეს, მეორე სვეტის, მე-15 აბზაცში გაგვეპარა შემდეგი კორექტორული შეცდომა. სწერია; „კულტურული—სამრეწველო გამოფენა" უნდა იყოს „კუსტარული—სამრეწველო გამოფენა".

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** 1901 წ. დაბადებულთა ნაწილი ეხლა გამოიწვიეს და ნაწილი არა. მე ვმსახურებ ტერ-ლეგიონში. რატომ მოხდა ეს ასე?

**კაზევაძე.**

**პასუხი.** 1901 წ. დაბადებულთა ნაწილი ეხლა გამოწვეულია და ნაწილი იქნება გამოწვეული საჭიროების დროს.

**კითხვა.** წითელ არმიელები წავიდენ ბოტანიკურ ბაღის დასათვალიერებლად, მარა არ შეგვიშვეს უბილეთოდ. აქვს თუ არა უფლება უბილეთოდ შევიდეს წ. არმიელი?

**ბ—ნი.**

**პასუხი.** ასეთ შემთხვევაში ნაწილმა უნდა მიმართოს წინასწარ ადმინისტრაციას და სთხოვოს რომ წ. არმ. ნება დართოს უბილეთოდ შესვლის.

**კითხვა.** ვარ ტერნაწილში; დავამთავრე საშუალო სასწავლებელი. მსურს შევიდე სამხედრო საექიმო ნაწილში. ამის უფლება მაქვს თუ არა?

**ა—ძე.**

**პასუხი.** უფლება გაქვთ უფროსის წინაშე შუამდგომლობის აღძვრით.

**კითხვა.** ვარ. წ. არმიელი. გადასახადი მქონდა 50 მან. ავიღე შეღავათის ქაღალდი, მარა ქაღალდის მიტანამდე 20 მან. გადაეხდევინებიათ ჩემი ოჯახისთვის. შემდეგ დანარჩენი მაპატიეს. დამიბრუნდება თუ არა 20 მან?

**პ—ლი.**

**პასუხი.** თხოვნით მიმართეთ აღმასკომს.

**კითხვა.** ჩვენ ვიყავით გამოწვეული 1924 წ. მაისში. მარა ავადმყოფობის გამო კომისიამ გაგვანთავისუფლა სამი თვით. ოქტომბერში გამოვცხადდით. მაისიდან გვეთვლება სამსახური თუ ოქტომბრიდან?

**პაპიძე.**

**პასუხი.** ნაწილში გამოცხადების დღიდან გეთვლებათ სამსახური.

# ჩვენი ფოსტა

**ამხ. გ. ი—ძეს** (1-ლი საარტ ლეგ) შემოიარეთ რედაქციაში.

**ამხ. სამხედრ მელას.** (1-ლი ლეგიონი) თქვენი წერილი „ნეტავ რად ხდება ასე" გადაეგზავნა ლეგიონის თავს.

**ამხ. უხასაძეს** (1-ლი მესანგრე) კორესპონდენცია „უფროსის საყურადღებოდ" გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. დურბინდს** (1-ლი ლეგ) თქვენი წერილი „ნუ დავივიწყებთ„ არ გამოგვადგა.

**ამხ. უსახელოს** (5-თე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „4-ხი წლის თავზე" დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

**ამხ. ძირულელს** (1-ლი საარტ.) წერილი „ჩვენ ჭვემზადე-ბით. არ დაიბეჭდება. ამის შესახებ იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. შანშიაშვილს** თქვენი წერილი „წვეულო მიეშურე". არ გამოდგა

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტნის წევრად დამტკიცების შესახებ, კომპარტიის კანდიდანტს, წითელ არმიელ ამხ. ედიშერ ალექსის-ძე ხარატიშვილს, მცოხრები გორის მაზრაში სოფ. ტეზერში. აღნიშნული კომუჯრედი სთხოვს ყველა იმათ ვინც კი იციან რაიმე უარყოფითი ამხ. ხარატიშვილზე აცნობონ ერთი კვირის განმავლობაში.

მისამართი: ქ. თბილისი დავიდოვის ქ. № 6.

**ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედი.**

მე 2. მ. დივიზიის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ შემდეგ წ. არმ. ამხ. ამხ. ვასილ ციყელაშვილს და სარქის ოგანეზოვს. თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს მათ შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

**კომ. უჯ. ბიურო.**

ქართულ სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კ. პ. კანდიდატობიდან პარტიის წევრებად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს: მოსე ქერქაძეს და გადახაბაძე გერასიმეს.

კომუჯრედი სთხოვს მოქალაქეებს თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცის აღნიშნული ამხანაგების შესახებ, აცნობონ მას 10 დღის განმავლობაში, სკოლის კომუჯრედის ბიუროში.

**პოლიტ-სკოლის კომუჯრედის ბიურო.**

**დაიკარგა** ტრანსპორტელთა კავშირიდან გაცემული წიგნაკი გიორგი გრიგოლის ძე ბერუჩაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დროებითი რედაქტორი მ. სიმონგულოვი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8.